ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6660743

ნომერი: AR1987022

თარიღი : 30.08.2023

გაცემის თარიღი : 13.09.2023

გაცნობის თარიღი : 13.09.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქინძმარაულის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის ხატიაშვილი პ/ნ 01024044086
- თბილისი, ფანასკერტელის 11 კორპ. ბ-77

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 30 აგვისტოს №AR1987022 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 23 აგვისტოს №6628910 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6646592 ბრძანებითა და

2023 წლის №6649614 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები, კერძოდ, წარმოდგენილი არქიტექტურული და „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული გეგმები, ისევ შეუსაბამოა ერთმანეთთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული გასწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის გადაწყვეტილებებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 30 აგვისტოს №AR1987022 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.